

## შორენა ხუხუა

პროგრამა „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ - მასწავლებელი

# თეატრალიზებული პროექტ-ბაკვეთილი - ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ეფექტიანი მეთოდი

## აბსტრაქტი

არაქართულენოვან სკოლებში თეატრალიზება შეიძლება განხილულ იქნას სასაკოლო საგანმანათლებლო პროცესის აქტივაციის ქმედით საშუალებად იმ შემთხვევაში თუ მოხდება თეატრალიზების ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს: ა) აღზრდის, სწავლებისა და პიროვნული განვითარების ერთობლიობას; ბ) თანაზიარობას, რეფლექსიისა და ვერბალიზაციის შესაძლებლობას; ამ შემთხვევაში, თეატრალიზება იქცევა იმ ქმედით დიდაქტიკურ საშუალებად, რომელიც ავტენტური დრამატული სცენარის რეალიზებისათვის იყენებს ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ყველა გამომსახველობით ხერხს და უზრუნველყოფს: ა) საგანთა შორის ინტეგრაციას, ბ) ფორმალური, საგანზე ორიენტირებული სწავლების, არაფორმალურ, ქმედით-პროცესუალურ ფორმაში ტრანსფორმირებას, გ) თანამოაზრეთა ჯგუფის ჩამოყალიბებასა და პიროვნული იდენტიფიცირების სტიმულირებას

არაქართულენოვან სკოლებში სახელწიფო ენის (ქართულის), როგორც მეორე ენის სწავლება რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ახლადდანიერგილი მრავალდონიანი სახელმძღვანელოები, მართალია, ხელს უწყობენ ენის ათვისებას, ითვალისწინებენ რა წინარე ცოდნასა და მოზარდების შესაძლებლობებს, მაგრამ სავალდებულობის ელემენტს მოიცავენ და გაუცნონიერებელ, პასიურ წინააღ-

მდეგობას იწვევენ შემსწავლელელებში; შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დამხმარე ლიტერატურისა და რიგი, როგორც საკლასო, ისე კლასგარეშე აქტივობების გამოყენებას, რომლებიც ენის ათვისებას შეუწყობენ ხელს.

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია შემოქმედებითი ელემენტის შეტანა გაკვეთილზე. ამ მხრივ საინტერესო პედაგოგიური მოდელი-

რების ფორმაა **თეატრალიზება**. ის სტრუქტურულად აერთიანებს საკლასო და კლასგარეშე აქტივობებს, არის საგანთა შორის ინტერგაციის კარგი საშუალება. ამავე დროს, ხელშესახები ეფექტის მისაღწევად აუცილებლად გვესახება ამ აქტივობის ორივე მიმართულების - ა) თეატრალიზების ელემენტის შეტანა სასწავლო პროცესში და ბ) თეატრალიზების ელემენტების გამოყენება კლასგარეშე აქტივობებში - სინქრონიზაცია.

არაქართულენოვან სკოლებში, ჩვენი აზრით, ხელშესახები ეფექტის მომცემია გმირული პათეტიკით გაჯერებული ისტორიული ლიტერატურის ადაპტირება, რომელიც მოზარდებში, გარდა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების სრულყოფისა, დომინანტი ეთნოსის კულტურისა და ისტორიისადმი ინტერესის სტიმულირების ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება მოვიხაზოთ.

საქართველოს ისტორიიდან აღებული თემატიკის მონოსპექტაკლად ქცევა და მისი როლური თამაშებით შესრულება სწავლის პროცესს სახალისოს ხდის, იზრდება ჩართულობა, ბავშვი იოლად იმასსოვრებს იმ ენობრივ კონტრუქციებს, რაც ისტორიული ტექსტისთვისაა დამახასიათებელი, ისტორიულ ფაქტებს, რომლებსაც

ეფუძნება ტექსტი და როგორც შედეგი, მდიდრდება ლექსიკური მარაგი.

ეპოქის, მოქმედი გმირებისა და საკომუნიკაციო მასალის შერჩევას განაპირობებს პათეტიკა, ემოციური ექსტრაპოლირების შესაძლებლობა და მარტივი, მაგრამ ახალი ენობრივი მასალით გაჯერებული კონსტრუქციები. მნიშვნელოვანია, რომ ისტორიული ტექსტის ადაპტირების დროს მოსწავლეებმა თავად აირჩიონ კონკრეტული მოვლენა თუ პირი, რის მიხედვითაც შედგება სპექტაკლი, ტექსტზე ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს მოზარდს, იდენტიფიცირება მოახდინოს კონკრეტულ პერსონაჟთან, აამეტყველოს ის მისთვის მახლობელი და ცნობადი ლექსიკით, რომელიც შეიძლება იმ პერიოდში არ იყო დამკვიდრებული, მაგრამ ადეკვატურია კონკრეტული სოციუმისთვის... შესაბამისად, ხდება ხასიათის წვდომა. მოსწავლე ამ დროს არა რომელიმე კონკრეტული სკოლის ან კლასის, არამედ ისტორიული ეპოქის ნაწილად მიიჩნევს თავს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მეთოდის აპრობირება მოზარდების იმ ჯგუფთან, რომელიც მონოეთნიკურ სივრცეში ცხოვრობს, მათთვის ჩვენი სახელმწიფოს ისტორია ფურცლებიდან მიწოდებული მშრალი ციფრების ქრონოლოგია კი არა, სამშობლოს

წარსულის გაცოცხლებულ ეპიზოდად იქცევა, რომლის ნაწილი და ძირითადი მოქმედი გმირი თავად ხდება... იაზრებს და გრძნობს ყველა ტკივილსა თუ პრობლემას, გამარჯვებასა თუ დამარცხებას, რომელიც მის მიერ წარმოდგენილ გმირს დააკისრა ბედისწერამ... ქართული ენის კლუბში შესრულებულმა სპექტაკლმა „დავით აღმაშენებელი“, რომლის სიუჟეტი აგებული იყო მეფის უიღბლო სიყვარულის ისტორიაზე, ბავშვებს სიღრმისეულად გააანალიზებინა ის ეპოქა და სიძნელები, რაც 16 წლის მეფეს ერგო მძიმე ტვირთად... ტექსტს რეფრენად გასდევდა: „მეფე ხარ და გამართებს“. „მეფე ხარ და გხამს“... ყველა ბრძოლის წინ დავითი ეთათბირება გიორგი ჭყონდიდელს და ყველა ბრძოლის შედეგს განიხილავს მასთან... ამ მომენტმა იოლი გახადა ქრონოლოგიური ინფორმაციის აღქმა და მიღებულ ცოდნას ის სიმყარე და სიღრმე შესძინა, რომელიც ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესს არ ახასიათებს. მშრალი, ისტორიული ფაქტების გაჯერება ადამიანური ემოციით - სიყვარულითა თუ სიძულვილით - მოზარდის ასაკისათვის მისაღებს ხდის მოვლენას ან გმირს, გარკვეულ განწყობას უქმნის, ინტერესს უღვიძებს ისტორიის იმ ასპექტისადმი, რომელიც

მანამდე დასამახსოვრებელი ინფორმაციის გროვად ეჩვენებოდა.

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ატარებს იმ ეპოქის სულისკვეთებას, რომელსაც ეკუთვნის შემოქმედი. ამიტომ ინტეგრირებული, თეატრალიზებული პროექტ-გაკვეთილის დაგეგმვის დროს კარგი შედეგის მომტანად გვესახება ისტორიულ მოვლენასთან და გმირთან ემოციურად ახლოს მყოფი მხატვრული ტექსტის შეტანა. ცალკე აღებული ანა კალანდაძის ლექსი „ფეხი დამადგით“ ბუნდოვნად მოეჩვენება არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეს, ენობრივადაც საკმაოდ მძიმედ აღსაქმელია საკლასო სივრცეში, მაგრამ პროექტ-გაკვეთილ „დავით აღმაშენებელში“, სადაც მეფე არაერთხელ ახსენებს ადამიანურ ცოდვებს, მთელი მისი ცხოვრება წარმოდგენილია სცენაზე და სპექტაკლი სრულდება ანდერძით, ერთ-ერთი გმირი კი წარმოთქვამს ამ ლექსს, პოეტური ნაწარმოები ადეკვატურად აღიქმება, ხოლო ტექსტი კი - ყველა მონაწილისთვის ნაცნობი და ემოციურად მისაღები ხდება.

ემოცია განაპირობებს განწყობას და ახდენს იმ სირთულეების ნიველირებას, რომლებიც ახალი ენობრივი კონტრუქციებით დატვირთული

ტექსტის შესწავლას ახლავს თან. პროექტ-გაკვეთილი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ მოიცავდა საქართველო-სათვის ძალზედ მნიშვნელოვანი პერიოდის აღწერას: სპექტაკლის მიმდინარეობისას შიკრიკები ატყობინებენ ერეკლე მეფეს პოლიტიკურ სიტუაციას, ერეკლე სოლომონ მსაჯულთან ერთად თათბირობს და სავარაუდო აზრს უშვებს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი შეიძლება არ შესრულდეს, არაერთხელაა ხაზგასმული 1783 წელი, როგორც ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, ერთ-ერთ სარდალს მოაქვს ამბავი, რომ რუსეთი არ ასრულებს დაპირებას და ტოტლებენი უკან იხევს ბრძოლის წინ, შექმნილი მდგომარეობის სირთულეს მონაწილეები ასეთი მარტივი ფრაზებით გამოხატავენ: „დროა, რუსეთმა შეასრულოს ვალდებულება“, „დადგადრო, რუსეთი დადგეს ჩვენს მხარეზე“, „სად არის გენერალ ტოტლებენის ჯარი?“, „რუსეთი ჩვენს დახმარებას არ აპირებს, „ტოტლებენი უკან დაბრუნდა“, „ტოტლებენისგან პასუხი არ არის“... მეფე ხაზს უსვამს, რომ საქართველო მარტო დარჩა მტერთან პირისპირ: „ხვალ საქართველო მარტო იბრძოლებს ალა-მაჰმად ხანის მრავალათასიანი ლაშქრის წინაშე“, რამდენიმე სიტყვით მიმართავს ჯარს: „გფარავდეთ ღმერთი“.

ერთი შეხედვით, ტექსტი არც ისეთი რთულია, არც თხრობაა ვრცელი, მაგრამ დიდია ემოციური მუხტი - ბრძოლების, ომის დასასრულს მეფე მწუხარედ ამბობს: „ბევრი ქართველი შეეწირა სამშობლოს დაცვას“, დიალოგში ამას უდასტურებს სოლომონი და საფრთხეზე შეახსენებს მეფეს: „ალა-მაჰმად ხანი სასტიკი და დაუნდობელია. თუ რუსეთი არ დაგვეხმარა, საქართველო ვერ გაიმარჯვებს“. ტექსტს ასრულებს წამყვანი, რომელიც ერთ წინადადებაში აერთიანებს მთელი სპექტაკლის პათოსს - „დაუსტებელი ქვეყანა დაიპყრო რუსეთმა...“ წარმოდგენას ასრულებს გაცოცხლებული სურათი, 2 მოსწავლეს შემოაქვს ხმალი, 3 მოზარდი აკეთებს „ალგეთის ლეკვების“ ძეგლის იმიტაციას და ყველანი ერთად კითხულობენ ლექსს: „კიდევაც დაიზრდებიან“, რაც ოპტიმისტურ-პატრიოტულ ნოტაზე ასრულებს სპექტაკლს.

ჩვენი აზრით, ასეთი სახით შემოტანილი ისტორიული თემა არის შთამბეჭდავი, მიღებული ინფორმაცია მყარი ცხოვრებისეული გამოცდილება ხდება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემოქმედებითი აქტივობის დროს მაღალია სახიობაში ჩართულობის მაჩვენებელი. სპექტაკლში

მონაწილეობს ყველა მოსწავლე, მიუხედავად აკადემიური მოსწრებისა. თუ სასწავლო პროცესში გააკეთილსაგვიყვებიან მხოლოდ ერთეულები, რომლებიც ყოველთვის კარგად სწავლობენ, ამ სცენებში ჩართულები არიან ყველანი - ზოგს ერთი წინადადება აქვს სათქმელი, თუნდაც „დიახ, მეფეო“, ბევრი მასიურ სცენებში მონაწილეობს და ერთხმად შეძახილს: „ჩვენ გავიმარჯვებთ“ სჯერდება, მაგრამ ყველა მონაწილეობს და თავისი შესაძლებლობის მიხედვით ურიგდება როლი.

რა თქმა უნდა, პროექტის მონაწილე პირველ რიგში საკუთარ როლს სწავლობს. მაგრამ, ამავე დროს, იმახსოვრებს, ვის მერე უნდა გამოვიდეს, აქედან გამომდინარე, ის ყურადღებით უსმენს მთელ სპექტაკლს და გარკვეულ ინფორმაციას იღებს, ერთგება ემოციურ სცენებში, მთელი ყურადღებით კონცეპტირებულია მოქმედებაზე.

ჩემი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია დარწმუნებით ვაღიარო, რომ მოზარდები თვითრეალიზებას სწორედ ასეთი აქტივობების დროს ახდენენ, შემდეგ პროექტ-გაკვეთილზე ისინი თავად მთხოვენ ხოლმე უფრო მეტ სიტყვებიან მონაკვეთებს, უჩნდებათ სურვილი, შეასრულონ პოპულარული მეფეების

როლი. ასეთ დროს ინტერესის უფრო სრული მობილიზებისთვის ვატარებთ კონკურსს და ვინც ყველაზე კარგად ითამაშებს, ქიური ქულების მიხედვით არგუნებს ამა თუ იმ როლს. ჩემდა გასაოცრად, ხშირად იმარჯვებენ მოზარდები, რომლებიც არ გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, მაგრამ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან როლს და, გამარჯვების ქინით ანთებულნი, მეტს აღწევენ ხოლმე. აქედან გამომდინარე, შეიძლება სრული პასუხისმგებლობით დავასკვნათ, რომ შინაგანი თუ გარეგანი მოტივაციის ამადლებას ძალიან უწყობს ხელს თეატრალიზებული პროექტ-გაკვეთილი.

ყველა მოსწავლე თანაბარ მდგომარეობაშია, რადგან არ აქვს მნიშვნელობა, ვის რამდენი ტექსტი აქვს სათქმელი, მთავარია, ვინ როგორ ითამაშებს თავის როლს, რაც უადრესად მნიშვნელოვანია ამ მეთოდის გამოყენებისას. რადგან არაქართულენოვან სკოლაში ქართულის ცუდად სწავლა კომუნიკაციის არქონას ნიშნავს, ბავშვი, რომელიც არ სწავლობს, ავტომატურად ირიყება მათგან, ვინც სწავლობს და ამიტომ არ ესმის მასწავლებლის, იწყება გაუცხოების პროცესი კლასსა და ინდივიდს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. პროექტ-გაკვეთილის დროს კი ყველა

ერთმანეთს ეხმარება, თავად ბავშვების მიერ ითარგმნება გაუგებარი სიტყვები, არაერთხელ გამეორებული თარგმანი ყველას ამხსოვრდება, მით უმეტეს, მაშინ, როცა ის სიტყვა ბევრჯერ მეორდება მომზადების პერიოდში.

\* \* \*

თეატრალიზებული პროექტ-გაკვეთილის ერთ-ერთი სახეა მხატვრული ტექსტის როლური თამაშით შესრულება. მოსწავლეები სწავლობენ ნაწარმოებს და შინაარსის ათვისების მერე ხდება ტექსტის ადაპტირება და მორგება სპექტაკლზე. მნიშვნელოვანია, რომ სცენარი პედაგოგმა შექმნას მთელ კლასთან ერთად, მოზარდები თავადვე აირჩევენ სათამაშოდ როლებს, ტექსტს შეუსაბამებენ უსტებს, მიმიკას, სამოსს თუ ემოციას. მაღალი აკადემიური მოსწრების მოზარდები მაშინვე ირჩევენ მრავალსიტყვიან მოქმედ გმირს, შედარებით პასიური ბავშვები კი მათთვის ადვილად სათამაშო მცირეწინადადებიან პერსონაჟს, მაგრამ მხატვრული ტექსტის როლურად წარმოდგენის დროს თუნდაც უსიტყვო როლის მქონე მონაწილე ყურადღებით უსმენს სპექტაკლს, იმხსოვრებს სიუჟეტს, ტექსტს, რომ საჭირო დროს ჩაერთოს სცენებში, ბავშვები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათ

მიერვე არჩეულ სცენარს და ჩართულობის ხარისხი მაღალია. რამდენიმე რეპეტიციის მერე აქამდე შინაარსად ნასწავლ-გააზრებული ნაწარმოები, ვიზუალურად წარმოდგენის შემდეგ, უფრო ცოცხალი და აღქმადი ხდება, მთავარი თუ არამთავარი გმირების ემოციები, განცდები, გრძნობები - ახლობელი, მათ მიერვე გაცოცხლებული გმირები წიგნიდან რეალურ სამყაროში გადმოდინან და მათივე სიტყვებით მეტყველებენ.

მიზნის ერთიანობიდან გამომდინარე, თეატრალიზებულ, ინტეგრირებულ პროექტ-გაკვეთილზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უვითარდებათ გუნდურობის განცდა, ისინი უფრო გახსნილები ხდებიან სიახლისადმი, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი და ხალისიანი სასწავლო გარემოს შექმნას.

**Shorena Khukhua**

*Program “Teach Georgian as a second Language”*

*Teacher-consultant*

## **Role-Playing - Effective Method to Teach Georgian as a Second Language**

### **ABSTRACT**

Role-playing for state language teaching in non- Georgian schools can be considered as an opportunity of activation in educational process, that should be ensured: a) Combination of educational training and personal development b) Relationship of reflection and verbalization, that makes role-playing to didactical tool, which is the opportunity to present authentic dramatical sciences with using of various artistic tools. Meanwhile role-playing promotes: a) the integration between subjects, b) transformation a formal teaching to a non-formal. c) formation of persons with identity ideas, and stimulating personal identity.